

საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო. საოლქო საარჩევნო კომისიები ქმნის ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

ცესკო უფლებამოსილია, განკარგულებით შექმნას ყველა თვითმმართველ ერთეულში არანაკლებ ერთი საოლქო საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი. ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის იმ წევრის უფლებამოსილების ვადა, რომელიც ცესკომ აირჩია მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, არჩევნების დანიშნვის შემდეგ განისაზღვრება მათი დანიშნვიდან შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთში.

საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ცესკო.

არჩევნების დანიშნვის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის 7 წევრს ნიშნავენ ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პარტიები, ხოლო ერთ წევრს – სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ცესკო.

პარტიის გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშნვის თაობაზე უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშნვიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. თუ უფლებამოსილი პარტიები ამ პუნქტით დადგენილ ვადებში არ დანიშნავენ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ცესკო ამ ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა 13-მდე შეავსოს.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

აკრძალულია საოლქო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – საკრებულო და გამგეობა, პარტია (პარტიები), სასამართლო, პოლიციის სამსახური.

ლანჩხუთის №61-ე საოლქო საარჩევნო კომისია მდებარეობს ყორდანიას ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ახლოს. ადრე კომისია კულტურის ცენტრის შენობაში ფუნქციონირებდა. დღეს იგი გარემონტებულ, ნათელ შენობაშია, სადაც ასევე ფუნქციონირებს: სოციალური სამსახური, ომის ვეტერანთა კავშირი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ა. (ა.) ი. პ. „ლანჩხუთი სერვისი“.

საოლქო-საარჩევნო კომისიის შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე – ზვიად ნაკაიძე – 2006 წლიდან მუშაობს საარჩევნო ადმინისტრაციაში. 2008 წლამდე იყო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 2008 წლიდან თავმჯდომარეა. გავლილი აქვს ბრიჯის პროგრამა. მრავალი სერთიფიკატის მფლობელია.

ლაშა კილაძე – 2008 წლიდან საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

თამარ ბისიეშვილი – მდივანი, 2006 წლიდან ოლქის წევრი, 2008 წლიდან მდივანი.

ხატია აბშილავა, ნინო მგელაძე – 2008 წლიდან კომისიის წევრები. მინიჭებული აქვთ სერტიფიცირებული საარჩევნო მოხელის სტატუსი, არაერთი ტრენინგი აქვთ გავლილი და ყველა წარმატებით. შესაბამისად მიღებული აქვთ სერტიფიკატები.

ვასილ ბურძღლა – ცესკოს წარმომადგენელი.

№61-ე ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის შემადგენლობაში შედის 38 საარჩევნო უბანი. თითოეული შედგება 13 წევრისგან და შესაბამისად ამ სისტემაში დასაქმებულია 494 პიროვნება.

დღეს ოლქი სრულად არის დაკომპლექ-

ტებული და საარჩევნო ადმინისტრაციაში რეგისტრირებული არიან:

ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – **სერგო ხოფერია**;

პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – **ია ჩხაიძე**;

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან – **გოჩა ცინცაძე**;

ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიიდან – **მარიამ კუბრაძე**;

ევროპული დემოკრატიებიდან – **ლილი ებრაღიძე**;

საქართველოს კონსერვატიული პარტიიდან – **სოსო შეიზაშვილი**;

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მიერ წარმოდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია **ვენერა კალანდარიშვილი**.

თავდაპირველად ვეწვიეთ № 61-ე ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად ნაკაიძეს და მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

– არიან თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციებში სკოლის დირექტორები? პედაგოგები? რა ნიშნით შეარჩიეთ?

ზვიად ნაკაიძე – საარჩევნო ადმინისტრაციაში საუბნო საარჩევნო კომისიის საკონკურსო განაცხადების ფორმა არ ითვალისწინებს კონკურსანტის თანამდებობრივი და შრომითი საქმიანობის ასახვას. აქედან გამომდინარე, ოფიციალური დოკუმენტაცია ოლქს არ აქვს, ვინ სად მუშაობს. კოდექსით არის გაწვრილი, რომელი საქმიანობებია შეუთავსებელი. თუ შეთავსებით საქმიანობას ეწევა ვინმე, პირველი სხდომის დღისთვის, ალბათ, კეთილსინდისი და დაწერს განაცხადებსა შევბუღების შესახებ.

– არიან თუ არა საარჩევნო კომისიის წევრები ხელისუფლებაში ნამუშევარი და რამე ნათესაური კავშირი თუ აქვთ საჯარო მოხელეებთან?

ზვიად ნაკაიძე – საარჩევნო ადმინისტრაციას (საოლქო საარჩევნო კომისიას), საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ არ ავალდებულებს, დაადგინოს საარჩევნო კომისიის წევრების ნათესაური კავშირი საჯარო მოხელეებთან.

– გვაუბნო თუ არა კომისიის წევრები, რომლებსაც წინა არჩევნების დროს დაეკისრათ სხვადასხვა სახის სანქციები დაფიქსირებული დარღვევის გამო?

ზვიად ნაკაიძე – თუკი ვინმეს დისციპლინარული სასჯელი ჰქონდა, ოლქს არც ერთი არ აურჩევია თავისი კონკურსის ფარგლებში, თუმცა, კოდექსი ამას არ ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, ოლქი შეეცადა, ის ადამიანები, რომლებსაც რაღაც ქმედებისათვის ჰქონდათ მიღებული ვადებრივი პატივსი (ხელფასის ნაწილის დაკავება, ან სხვა დისციპლინური სასჯელი), არ აერჩია. ეს ინფორმაცია ჰქონდა საოლქო კომისიის ყველა წევრს. ამავ დროს, კონკურსში მონაწილეობდა ორი ადამიანი – ნუნუ მახარაძე და ნოდარ პიპინაშვილი, რომელთაც კენჭისყრის დროს პირდაპირ მიუთითეს, რომ ვადად შეეწყვიტათ უფლება-მოვალეობა და ჩვენც კენჭისყრაში არ მივალენით მონაწილეობა. მათ შეწყვეტილი ჰქონდათ უფლებამოსილების ვადა, თუმცა, კონკურსში მონაწილე შეიტანეს განაცხადები. ჩვენ დავარეგისტრირეთ, ოღონდ, არ გვიყრია კენჭი.

– კომისიის წევრთა მხრიდან რა სახის დარღვევები აღინიშნება და რა სანქციები ტარდება?

ზვიად ნაკაიძე – სამუშაო საათების მიტოვება, ან უბანი არ გაიხსნა თავის დროზე. მახსენდება ასეთი შემთხვევა: №16 უბანში იყო პრობლემა, სარევისტაციო ჟურნალის მიმართ უდიერად მოქცევა. ამას მოჰყვა გაფრთხილება, საყვედური, ხელფასის ნაწილის დაკავება. მოვიდა საჩივარი რესპუბლიკური პარტიიდან, რომ ერთ-ერთ წევრს ჰყავს გუნდი და ვაჰყვა მატჩზე. ამ ადამიანს ხელფასის ნაწილი დავუკავეთ.

მოვიპოვეთ კომენტარები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიების წარმომადგენლების და დეპუტატობის კანდიდატების მხრიდან.

მარიკა თურნავა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა – ჩვენ პარტიის წარმომადგენლები გამოცდილი და სანდო ადამიანები არიან. გამოცდილება აქვთ ძალიან სერიოზული და დარწმუნებული ვარ, დაიცავენ ჩვენს ხმებს. წარმომადგენლებს ველოდებით ევროპელი დემოკრატიებიდან, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა შეთანხმება. საოლქო კომისიის შემადგენლობა ამ ეტაპზე იგივეა, ცვლილებებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. აქედან გამომდინარე, მე რა პრეტენზიები მექნება მათთან, გამოჩნდება არჩევნების შემდეგ.

ბობი ბებნიძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელი – „ქართული ოცნებას“ კომისიაში ორი გამოცდილი წევრი წარმომადგენს, ორივე პროფესიონალია. აქვთ სერტიფიკატი და, შერსაბამისად, გამოცდილება. მთავარი რაც არის, სიცილი უნდა იყოს დაუსუსტებული. ჩემი აზრით, რაც ხელისუფლებამ ჩაატარა კარდაკარის პრინციპით, ეჭვს იწვევს. იმიტომ, რომ სიბეზღი გარდაცვლილებაც არიან. რაც წინა წელს იყო შეცდომები, ის განმეორებულია, ამიტომ ისევ გადახედვას მოითხოვს, ამას ყურადღება უნდა მიექცეს და ჩვენ ვიბრძოლებთ კიდევ ამისათვის.

თამარ ჩხაიძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ მუხრანის რაიონული დეპუტატობის კანდიდატი – აბსოლუტურ ნდობას ვუცხადებ კომისიის ყველა წევრს, დარწმუნებული ვარ, ღირსეული ადამიანები არიან და თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ.

მირაბ ჩხაიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – კანონიერად დაკომპლექტებულია მიმართა საოლქო და საუბნო კომისიები და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კანონის ფარგლებში ჩაივლის.

ბიორბი ბობუაძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მუხრანის რაიონული დეპუტატობის კანდიდატი – მე სრულიად ვენდობ ჩემს წარმომადგენელს და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ. კომისია დაკომპლექტებულია ძალიან განათლებული, ნიჭიერი და არჩევნებში ჩახედილი პროფესიონალი ადამიანებით. მჯერა, რომ ისინი ნორმალურად დაითვლიან იმ ხმებს, რომელსაც მოსახლეობა თავიანთ რჩეულს მისცემს.

რომან ბიწაძე, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ეროვნული კომიტეტის წევრი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი – საუბნო-საარჩევნო კომისიები ძირითადად დაკომპლექტებული ჰყავთ არა პროფესიონალიზმის, არამედ ერთგულების ნიშნით. ტყუილად ნუ იტყვიან ნურგაინ, რომ ეს ხალხი არ არის პოლიტიზებული და აპოლიტიკურები არიან. კომისიის ის წევრები, რომლებიც ოლქმა დანიშნა, ვითომ როგორც აპოლიტიზებული და თავისუფალი წევრები, ყველა ინსტრუქტაჟს ღებულს სოფლის ხელმძღვანელებისაგან ადგილებზე. მე რამდენიმე ფაქტი დავაფიქსირე და კიდევ ერთხელ ვამბობ: საუბნო-საარჩევნო კომისიების ასეთი შერჩევა კარგ შედეგს არ იწვევს ველოდით.

ბევრ უბანზე, დარწმუნებული ვარ, ოქმსაც ვერ შეადგენენ. განსაკუთრებით გაცივრებას იწვევს ბატონ ზვიად ნაკაიძის გადაწყვეტილება ლაშის დედას უბანთან დაკავშირებით. ალბათ, მას ძალიან კარგად ახსოვს, რა მოხდა თვითმმართველობის არჩევნებზე ლაშის დედაში: ოქმი არ დაიწერა, ყუთი გაიხსნა მეორე დღეს 10 საათზე და მეორეც მიდასტურებდა ბატონი ზვიადი, რომ კომისიის ის წევრები ახალ კომისიაში არ იქნებოდნენ. მაგრამ იგივე ხალხი ჰყავს შეყვანილი. დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანებს მიცემული აქვთ სრული თავისუფლება, რაც გინდა გააკეთებ, პასუხს არ მოგთხოვენ.

მაგრამ ზუსტად ეს ადამიანები ვერ ჩაატარებენ უბნებზე ხარვეზების გარეშე არჩევნებს და ეს ხელისუფლება ტყავსაც გააძრობს, ჯარიმებსაც გამოუწერს. დარწმუნებული ვარ, მათ გაწირავენ. კახა ასკურავას პროტესტი გამოუთქვამს იმის გამო, რომ სკოლის ეზოში შეხვედრა ჰქონდა ჩვენს კანდიდატს, ეს არ შეიძლება. სააკაშვილისათვის თუ შეიძლება სკოლის ეზოში მიტინგი და ხალხთან შეხვედრა, ჩვენთვის არ შეიძლება? (18 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილი უშუალოდ სკოლის ეზოში შეხვედა რაიონის მოსახლეობას). უბნები გახსნილია სკოლებში. ძირითადად კომისიის წევრები სკოლის მასწავლებლები არიან და ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საარჩევნო რესურსად პედაგოგები ჰყავთ გამოყენებული.

ლავიო წულაძე, ახალი მემარჯვენეები – თუ საარჩევნო უბანზე კომისიის წევრები, დამკვირვებლები პრინციპულად დადგებიან, არავითარი გაყალბება, არავითარი კარუსელი არ მოხდება. მთავარია ოპოზიციის წარმომადგენლებმა თავიანთ პრინციპს არ უღალატონ. ჩვენ არ გვყავს კომისიის წევრი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვაკონტროლებთ. ორი დამკვირვებელი გვეყოლება. თუ არ მოისყიდებიან, იქ გვრანაირი დარღვევა ვერ მოხდება. ფაქტია, გარკვეული უფლებები ექნებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე პირადად სულ არ ვიცი ვინ არის საოლქო კომისიაში, არ ვიცი, პროფესიული ნიშნითაა შერჩეული თუ პარტიული. დარწმუნებული ვარ, ესენი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. დავიხიოთ უკან. ჩვენ როცა ვაფიცულეთ ვიყავით, პარლამენტის კანონებს იღებდა, რაც ვაუფა მთავრობას, იმას ვაკეთებდა და ვაკეთა კიდევ. ჩვენი პარტია, როცა ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობას ითხოვდნენ, გვერდზე არ დაუდგა ხალხს, საარჩევნო კანონის და საარჩევნო კოდექსის მიღებაც არ გავაპროტესტეთ, ყოველთვის ასე ხდება რატომღაც და ვაღიარებ, რომ ეს ოპოზიციის მინუსია. არ ვაკეთებთ დროზე რეაგირებას და ბოლოს ვამბობთ: საარჩევნო კანონი არ არის სამართლიანო. მეერ ვაქვს პრეტენზიები და როცა ჩვენ ვიყვირებთ, ის კანონი უკვე მიღებულია. კონსტიტუცია მიიღეს და კანონის მიღებას რა უნდა?

ცნობილია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში უმეტესწილად თავმჯდომარეებად და მოადგილეებად საბიუჯეტო სამსახურებში დასაქმებული ადამიანები არიან. მაგალითად, ქალაქ ლანჩხუთის ხუთივე საარჩევნო უბანზე გვაქვს შემდეგი სურათი:

№1-ლი საარჩევნო უბანი (მე-3 საჯარო სკოლის შენობა) – კომისიის თავმჯდომარე მაია კეკელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განყოფილების უფროსი;

№მე-2 საარჩევნო უბანი (1-ლი საჯარო სკოლის შენობა) – კომისიის თავმჯდომარე ლალი კიკაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი;

№მე-3 საარჩევნო უბანი (მე-2 საჯარო სკოლის შენობა) – კომისიის თავმჯდომარე მაია ჯიმშელია, №3 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

№მე-4 საარჩევნო უბანი (სამრევლო სკოლის შენობა) – კომისიის თავმჯდომარე ლია ასანიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბუღალტერი;

№37-ე საარჩევნო უბანი (კულტურის ცენტრის შენობა) – კომისიის თავმჯდომარე ნათია ურუშაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ალარაფერს ვამბობ სოფლებში შექმნილ მდგომარეობაზე. აქაც იგივე. საარჩევნო უბნების კომისიის წევრების უმრავლესობა საბიუჯეტო სამსახურების თანამშრომელია.

საინტერესოა, შექმნილი მდგომარეობა რამდენად აკმაყოფილებს ჯანსაღი საარჩევნო გარემოს მოთხოვნებს და რამდენად ჯდება დემოკრატიულობის ჩარჩოებში?

ლამარა კვიციანი

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.

